

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (რიგგარეშე)  
სხდომა №35

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში ახალი წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხის დამტკიცება;
2. სტუ-ს ეთიკის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. ნ. ქაჯაია);
3. სტუ-ს საპატიო დიპლომის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი ზურაბ ლომსაძე);
4. სტუ-ს 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების დამტკიცება, კერძოდ:
  - ა). “საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების” მუხლში დარჩენილი ეკონომია, 3311 ლარი გადატანილი იქნეს “მანქანა დანადგარების” მუხლის ელექტრო მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური მოწყობილობებისა და ავეჯის” პუნქტში;
  - ბ) სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები (დანართი №1);
  - გ) სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები (დანართი №2).
  - დ) სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე, თქვენთან შეთანხმებული 386 კვ.მ გასაიჯარებელი ფართი დაიყოს 2 ობიექტად: 156 კვ.მ და 230 კვ.მ ფართობებად.
  - ე) ინფორმაციის სახით წარმოდგენილი იქნება:
    1. “საქონელი და მომსახურების” მუხლის “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების” პუნქტიდან დაგეგმილია სტუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება 44.800 ლარის ოდენობით, სტუ-ს საპატიო დიპლომანტთა პრემირება 10.000 ოდენობით, სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე შემოქმედებითი ტურების (ხატვა, არქიტექტურული გრაფიკა) კომისიის წევრთა ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება 3.600 ლარის ოდენობით.  
(მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
5. სტუ-ს აკადემიური საბჭოს შუამდგომლობა სამშენებლო ფაკ-ის III კურსის სტუდენტის ნინო ხუციშვილის 17 კრედიტის შესაბამისი თანხის გადასახადიდან განთავისუფლების საკითხის განხილვა და დამტკიცება (მომხსენებელი სამშენებლო ფაკ-ის დეკანი ზურაბ გედენიძე);
6. მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
2009 წლის 3 ივლისის (რიგგარეშე) სხდომის  
ოქმი №35

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 46. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი. **წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.**

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. ნინო ნიკვაშვილი, პროფ. ნაზი კუციავა, პროფ. გენადი იაშვილი.

**წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.**

სპიკერმა აღნიშნა, რომ ნაერთ ბიუჯეტში დაემატა ერთი საკითხი, რომელსაც საბჭოს მოახსენებს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი, ბ-ნ ნუკრი ქურციკიძე.

სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე – წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს – სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში ახალი წევრის უფლებამოსილების ცნობის დამტკიცება.

როგორც წინა სხდომაზე მოგახსენეთ, სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს დაემატა ახალი წევრი – სტუდენტი ლევან რევაზიშვილი ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტიდან. კენჭისყრაზე ვაყენებ ლევან რევაზიშვილის, როგორც სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ცნობის საკითხს. გთხოვთ დააფიქსიროთ თქვენი ნება.

**წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 45, წინააღმდეგი – 1.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭოს  
2009 წლის 3 ივლისის №35 (რიზბარეში) სხდომის  
ბ ა ღ ა ო მ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 3 ივლისის №35 სხდომაზე, სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ახალი წევრის ლევან რევაზიშვილის (ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი, სტუდენტების კვოტიდან) უფლებამოსილების ცნობის დამტკიცების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით (მომხრე 45, წინააღმდეგი 1, თავი არაყინ შეიკავა), დამტკიცდა ლევან რევაზიშვილის*

*(ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი, სტუდენტების კოორდინაციის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.*

**სპიკერი** – წარმოგიდგინო დღის წესრიგის მეორე საკითხს – სტუ-ს ეთიკის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შემმუშავებელი ქვეკომისიის თავმჯდომარე, პროფ. ნოდარ ქაჯაია (იხ. დანართი №4).

**პროფ. ნოდარ ქაჯაია** – სტუ-ს ეთიკის კოდექსში შევიდა ცვლილებები. ცვლილებები შეიტანა აკადემიურმა საბჭომ. დამატებები გამოიწვია ობიექტურმა პირობებმა, რადგან ჯერ ვერ მოხერხდა შინაგანაწესის ბოლომდე დამუშავება და დამტკიცება. ეთიკის კოდექსში შეტანილი დამატებები, მომავალში შინაგანაწესში გადავა.

**სპიკერმა** კენჭისყრაზე დააყენა ეთიკის კოდექსი, წარმოდგენილი ცვლილებებითა და დამატებებით.

**წარმოდგენილ** ეთიკის კოდექსს კენჭი ეყარა ერთხმად.

### **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**

#### **წარმომადგენლობითი საბჭოს**

**2009 წლის 3 ივლისის №35 სხდომის**

**ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 3 ივლისის №35 სხდომაზე, სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შემმუშავებელი ქვეკომისიის თავმჯდომარის, პროფ. ნოდარ ქაჯაიას მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, სტუ-ს ეთიკის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის დამტკიცების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს ეთიკის კოდექსში შეტანილი ცვლილებები და დამატებები. გადაწყდა, რომ სანამ შინაგანაწესი იქნება მიღებული, ეთიკის კოდექსს მიეზღოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები (იხ. დანართი 4).*

**სპიკერი** – წარმოგიდგინო დღის წესრიგის მესამე საკითხს – სტუ-ს საპატიო დიპლომის დებულების დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. გიორგი სალუქვაძე (იხ. დანართი №5).

**პროფ. გიორგი სალუქვაძე** – 16 ივნისს აკადემიურმა საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო დაწესდეს საპატიო დიპლომი პატივსაცემ პიროვნებათა დამსახურების აღსანიშნავად და გადაეცეს მათ ერთი თვის ხელფასი. გათვალისწინებული იქნა პროფ. დავით ჯაფარიძის შენიშვნა ბიუჯეტში შესაბამისი თანხების გათვალისწინების თაობაზე. გათვალისწინებით საპატიო დიპლომის დებულების ბოლო ვარიანტს და გთხოვთ, ეს გადაწყვეტილება იქნეს მხარდაჭერილი.

**პროფ. გენადი იაშვილი** – საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ეს საკითხი. მაქვს ერთადერთი შენიშვნა, თუ შესაძლებელია დიპლომს დაემატოს სტუ-ს „ღირსების“ საპატიო დიპლომი. იდეის სახით გათვალისწინებული – ჩამონათვალში დაემატოს წლის საუკეთესო პროფესორი და წლის საუკეთესო მკვლევარი, რაც თავისთავად გააუმჯობესებს პროფესორების მუშაობის ხარისხს.

**პროფ. ჯემალ ბერიძე** – კრიტერიუმების გარეშე გაუგებარია.

**პროფ. აგული სოსაძე** – წლები უნდა იყოს გათვალისწინებული, მიმაჩნია უკეთ უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – წარდგინებას ახდენს რექტორი და ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტმა ჩამოყალიბოს კრიტერიუმები და საბჭომ მიიღოს კოლექტიური გადაწყვეტილება.

**წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 44, წინააღმდეგი – 2.**

### **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**

#### **წარმომადგენლობითი საბჭოს**

**2009 წლის 3 ივლისის №35 (რიბბარეში) სხდომის**

**გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 3 ივლისის №35 სხდომაზე, სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივანის, პროფ. გიორგი სალუქვაძეს მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, სტუ-ს საპატიო დიპლომის დებულების დამტკიცების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით (მომხრე 44, წინააღმდეგი 2, თავი არავენ შეიკავა), დამტკიცდა სტუ-ს საპატიო დიპლომის დებულება (იხ. დანართი 5).*

**სპიკერი** – წარმოგიდგინო დღის წესრიგის მეოთხე საკითხს – სტუ-ს 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების დამტკიცება და სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე, ადრე შეთანხმებული 386 მ<sup>2</sup> გასაიჯარებელი ფართობის – 156 მ<sup>2</sup> და 230 მ<sup>2</sup> ფართობებად დაყოფის საკითხის დამტკიცება – მომხსენებელი საგემო-საფინანსო განყოფილების უფროსი, ბ-ნი ნუკრი ქურციკიძე

**ბ-ნი ნუკრი ქურციკიძე** – მოგახსენებთ, რომ ნაერთი ბიუჯეტის წარმოდგენილ ცვლილებებს დაუმატეთ კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ, სტუდენტთა თვითმართველობის თანხები არ იყო მიზნობრივად გაწერილი, ამიტომ ეს ხარჯვითი ნაწილი არ შეესაბამება იმას, რაც ბიუჯეტში იყო ჩადებული.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – ეს საკითხი ვერ განვიხილეთ საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე. მიზნობრივად რომ გაგვეწერა ბიუჯეტი, ეს არ მოხდებოდა. მუშა მდგომარეობაში გავასწოროთ ბიუჯეტი და ეს ხარჯები გავწეროთ ფაკულტეტების მიხედვით.

**ბ-ნი ნუკრი ქურციკიძე** – ნაერთ ბიუჯეტში წარმოდგენილი გვაქვს ყველა ფაკულტეტი ერთად. ნაერთ ბიუჯეტში ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლების დანამატის მუხლიდან 10 000 ლარი გადავიდეს პრემირების მუხლში, საპატიო დიპლომანტების დასაჯილდოებლად.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – საფინანსო კომისიაზე განვიხილეთ ყველა წარმოდგენილი საკითხი და თითოეულზე შევჯერდით.

**ბ-ნი ნუკრი ქურციკიძე** – წარმოგიდგინო სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე, ადრე შეთანხმებულ 386 მ<sup>2</sup> გასაიჯარებელი ფართობის 2 ობიექტად დაყოფის (კერძოდ, 156 მ<sup>2</sup> და 230 მ<sup>2</sup> ფართობებად) საკითხს დასამტკიცებლად.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – რაც შეეხება წარმოდგენილ გასაიჯარებელ ფართობს, კომისიამ გადაწყვიტა ობიექტის გაიჯარება მოხდეს 2 ლოტად: ტენდერი გამოცხადდეს ჯერ მთლიანად 386 მ<sup>2</sup>-ზე და შემდეგ იქნეს დაყოფილი 156 მ<sup>2</sup> და 230 მ<sup>2</sup> ფართობებად.

**სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, ბ-ნი ბექა მაისურაძე** – ასე არ შეიძლება.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – რატომ არ შეიძლება? გაიჯარდეს ჯერ მთლიანად და შემდეგ ცალ-ცალკე.

1. სტუ-ს 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებებს კენჭი ეყარა ერთხმად;

2. სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე, 386 მ<sup>2</sup> გასაიჯარებელი ფართობის გაიჯარების ალტერნატიულ ვარიანტს, რომ ობიექტი გაიჯარდეს ორ ეტაპად.

კენჭი ეყარა – მომხრე 44, წინააღმდეგი 2, თავი არავის შეუკავებია.

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

#### წარმომადგენლობითი საბჭოს

#### 2009 წლის 3 ივლისის №35 სხდომის

#### ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 3 ივლისის №35 სხდომაზე, სტუ-ს საგემო-საფინანსო განყოფილების უფროსის, ბ-ნ ნუკრი ქურციკიძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, სტუ-ს 2009 წლის ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა:*

1. სტუ-ს ნაერთ ბიუჯეტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ნაერთი ბიუჯეტის “საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების” მუხლში დარჩენილი ეკონომია, 3311 ლარი გადატანილ იქნეს “მანქანა დანადგარების” მუხლის ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური მოწყობილობებისა და ავეჯის” პუნქტში;

ბ) სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის ბიუჯეტის "ელექტრომოწყობილობები, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურა, ოპტიკური ხელსაწყოები, ავეჯი" მუხლიდან პლაზმური ტელევიზორის, მობილური ტელეფონის, ვიდეოკამერის შესაძენად გამოყოფილი თანხა 4200 ლარი გადატანილ იქნეს "სხვა მატერიალური მარაგების" მუხლში კარადების შესაძენად;

გ) სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტში სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებისათვის გამოყოფილი 37400 ლარის რაოდენობის თანხიდან დარჩენილი 6700 ლარი მოხმარდეს დეკანატის ოთახებში კონდიციონერების დამონტაჟებას.

2. სტუ-ს ბიუჯეტის წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლის, სტუდენტური საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების პუნქტიდან

ა) 18000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების ხარჯებში;

ბ) 2321 ლარი გადატანილ იქნეს ორდენების, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან, სპორტული ღონისძიებებისა და სტუდენტთა სოც. პროგრამების ხარჯების პუნქტში;

გ) 14300 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო მომსახურებისა და მგზავრობის ხარჯების პუნქტში;

დ) 6000 ლარი გადატანილ იქნეს მიღებებისა და ღონისძიებების ხარჯების პუნქტში;

- ე) 8000 ლარი გადატანილ იქნეს ორდენების, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან, სიგელების, სუვენირების და სხვა ფასიანი საჩუქრების შეძენის ხარჯების პუნქტში;
- ვ) 9000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან, საკეკლამო ხარჯების პუნქტში;
- ზ) 600 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან, სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯების პუნქტში;
- თ) 9399 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზაციის მუხლში;
- ი) სტუ-ს ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების მუხლის, ოფისის ხარჯების, შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების მიმდინარე რემონტის ხარჯების პუნქტიდან 9575 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების მუხლის ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის პუნქტში.

3. სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ნება დაერთოს:

- ნაერთი ბიუჯეტის “საქონელი და მომსახურების” მუხლის “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების” პუნქტიდან სტუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავეებლად გამოცხადებული კონკურსის კომისიის წევრების შრომის ანაზღაურებისათვის 44800 ლარის გაცემაზე;
- სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და ღიზინის ფაკულტეტზე შემოქმედებითი ტურების (ხატვა, არქიტექტურული გრაფიკა) კომისიის წევრთა ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებისათვის 3600 ლარი;

4. საპატიო დიპლომანტთა პრემირებისათვის, სტუ-ს ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლის დანამატის პუნქტიდან 10000 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების პუნქტში (იხ. დანართი 1, 2, 3).

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**

**წარმომადგენლობითი საბჭოს**

**2009 წლის 3 ივლისის №35 სხდომის**

**ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 3 ივლისის №35 სხდომაზე, სტუ-ს საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსის, ბ-ნ ნუკრი ქურციკიძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი, სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსის I სართულზე, 386 მ<sup>2</sup> გასაიჯარებელი ფართობის 2 ობიექტად (156 მ<sup>2</sup> და 230 მ<sup>2</sup> ფართობებად) დაყოფის შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა (მომხრე 44, წინააღმდეგი 2, თავი არავინ შეიკავა): თავდაპირველად გამოცხადდეს ტენდერი მთლიან ფართობზე 386 მ<sup>2</sup>, მისი არგაიჯარების შემთხვევაში, აღნიშნული ფართობი დაიყოს ორ ობიექტად (156 მ<sup>2</sup> და 230 მ<sup>2</sup> ფართობებად) და შემდეგ გაიჯარდეს.

**სპიკერი** – წარმოგიდგინებ დღის წესრიგის მეხუთე საკითხს – სტუ-ს აკადემიური საბჭოს შუამდგომლობა სამშენებლო ფაკულტეტის, III კურსის სტუდენტის, ნინო ხუციშვილის 17 კრედიტის შესაბამისი თანხის გადასახადიდან გათავისუფლების საკითხის განხილვა (იხ. დანართი №6).

**პროფ. ვალიდა სესაძე** – სამშენებლო ფაკ-ის III კურსის სტუდენტი ნინო ხუციშვილი ფრიადოსანი სტუდენტი და დადებითი პიროვნებაა.

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – ჩვენ შევხვდით რექტორს და ვთქვით, რომ ასეთი პრეცედენტი არ უნდა დაეუშვათ. ასეთი სტუდენტის საკითხი უნდა გადაწყდეს ფაკულტეტის საბჭოზე.

**პროფ. ვალიდა სესაძე** – ვიყავით ბუღალტერიაში და თანხა უნდა იყოს გადაირცხოს, ვინ შემოიტანს ამ თანხას მნიშვნელობა არ აქვს. საერთოდ კი საჭიროა სტუ-ში შეიქმნას ფონდი და შესაბამისი დებულება, უკიდურეს გაჭირვებულ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა დასახმარებლად. დებულებაში ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მსგავსი დახმარება უნდა გაიცეს მხოლოდ წარჩინებულ სტუდენტებზე.

**გადაწყდა, რომ წარმომადგენლობითმა საბჭომ ეს ინფორმაცია მიიღოს ცნობად, რადგან სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი თავად მოაგვარებს აღნიშნულ საკითხს ფაკულტეტის საბჭოს დონეზე. საკითხის არმოგვარების შემთხვევაში, საკითხი კვლავ დადგება წარმომადგენლობითი საბჭოს მომდევნო სხდომაზე.**

**მიმდინარე საკითხები:**

**პროფ. კარლო ღურწკაია** – რა ეშველებათ ლაბორანტებს, რომლებსაც 1 აგვისტომდე აქვთ ხელშეკრულება დადებული? აკადემიური პერსონალის არჩევნების გადადების გამო, მათ მოუწევთ აგვისტოშიც მუშაობა. როგორ მოხდება მათი დაფინანსება?

**პროფ. დავით ჯაფარიძე** – ლაბორანტებმა 11 თვე იმუშავეს და გამოდის რომ მათ არ ვაძლევთ შვებულების ფულს. ეს განიხილოს სოციალური საკითხების შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ და გადაწყვიტოს ეს საკითხი.

**პროფ. აგული სოსაძე** – დეპარტამენტის ლაბორანტს მიეცეს მეტი ხელფასი, ვიდრე მიმართულების ლაბორანტს.



სპიკერი – რექტორის მოადგილის (სასწავლო დარგში), ბ-ნ ლევან კლემიაშვილის ინფორმაციით ლაბორანტებს ხელშეკრულება უგრძელდებათ ოქტომბრის თვემდე, შესაბამისად მათ მიეცემათ ხელფასი.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
სპიკერი, პროფესორი

/ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,  
ასოცირებული პროფესორი

/გინა გურეშიძე/